SUNBEAMS

ვლადიმერ ასლამაზიშვილი
ციცქნას ახალი ფათერაკები

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე

ილუსტრატორი: თიკო გოგიტიძე

სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი

დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-902-6

www.diogene.ge

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ციცქნას ახალი ფათერაკები

სარჩევი

დაბრუნება. ციცქნა ბებიას სთხოვს,
ულვაშები მიახატოს 7

ნუცას სკოლა. თოჯინები შიშით კანკალებენ 12

ვინ აწაპნა კინკილას ცალი ფეხი?
არც ცისნამასა და შარიქას დაჰყრიათ ხეირი 17

შავი კატის მუქარა 25

სამხედრო თათბირი გულად ჩაუხასთან 30

ციცქნა ვარსკვლავის მოსატანად მიდის.
კატები ტყვედ ჩაიგდებენ. „რა ყოჩაღი ყოფილხარ, მგელო“ 37

ციცქნას და მამაცას მგლის ხროვა
წინამძღოლებად ირჩევს. ბრძოლა კატებთან 47

შორს სიმარტოვევ! ცალფეხა ჩაუხა მართლა ცეკვავს 56

ქოქიას „ოსმოსში“ გაფრენა უნდა. ციცქნასა
და ჭანჭიკელას ხელახალი შეხვედრა 63

„ლაიკა“ მზად არის გასაფრენად. ბებია ციცქნას
ზღაპრების ტიკს ატანს 69

აი, როგორი ყოფილა მთვარე. ქოქიას ქოფაკებთან
გაფრენა უნდა 76

მეტეორებთან შეხვედრა. ციცქნა „ვახ, ტიკო, ტიკოს“
მღერის 86

მოგზაურობა საზღაპრეთში. ქოქია ზღაპრების ტიკზე
იყრის ჯავრს 99

დინოზავრის კვალი. კინკილას ფეხს ხოჭო
მიირთმევს, გასეირნება ტირანოზავრით 113

ცალთვალა კოსმონავტი იმუქრება 124

ჩხირკედელა მეფე, ანუ მეფე-მეცნიერი 134

წესრიგის მინისტრი შეშფოთებულია 142

მოხეტიალე ბიჭი ცირკისა 145
ცირკი. ზარმაცუნა მცონარები ჯერ

გაჯავრდებიან, მერე დაჭერობანას თამაშობენ 157

შენ და, მე – ძმა 166

ბებია-რობოტი ღორმუცელა კუჭილას ყურს უწევს 172
ჩხირკედელა მეფე ნაწყენია, ჭანჭიკელამ

სიტყვა გატეხა. პოლიციელები ქოქიას ძაღლად არ აგდებენ..... 179

კუჭილა ოქროგოგოს საიდუმლოს გაანდობს
და ჭანჭიკელას საშველად მიდიან 185

შაურას კოვზი ნაცარში უვარდება.
ვის ეკუთვნის მზის ორდენი? 192

ვაშა, გენერალი მოდის! 200

დაბრუნება. ციცქნა ბებიას სთხოვს, ულვაშები მიახატოს

დღისით-მზისით, როცა ბებია ციცქნასთვის ნაბდის ახალ ქუდს კერავდა, ქარის ზუზუნის მსგავსი ხმაური მოესმა. გაიხედა და რა დაინახა: აივანზე მტრედისხელა ელექტროცხენი შემოფრინდა, ზედ ციცქნა და ჭანჭიკელა ისხდნენ. მის სანატრელ ბიჭს ხელში შავი ხავერდის ძაღლი ეჭირა და იცინოდა.

ელექტროცხენი ბებიას გვერდით, ტახტზე დასკუპდა. იქიდან ციცქნა გადმოხტა, ჭანჭიკელას დაემშვიდობა და ბებიას მიესალმა:

– გამარჯობა, ბებია!

– გაგიმარჯოს, მოხვედი, ბიჭო? სად იყავი, გენაცვალე?! ეგრე უნდა, რომ დაჰკარი ფეხი და ცხრა მთას იქით გადაიკარგე? ლამის დარდისგან გავთავდი, – ამბობდა დედაბერი, ციცქნას გულში იკრავდა და კოცნიდა. თან სათვალის ზემოდან უყურებდა და მოწონებით თავს იქნევდა – მისი ბიჭი სულ აღარ ჰგავდა ნამნამა ბავშვს. სულ სხვანაი-

რად გამოიყურებოდა, ცისფერწინწკლებიანი ხალათი და ზღვასავით ლურჯი შარვალი დამოკლებოდა, სახეზე ვაჟკაცური იერი დასდებოდა. ქიმიური ფანქრით მოხატული ცხვირ-პირი ცოტათი მოშლოდა, თორემ სხვაფრივ წუნს ვერ დასდებდით.

– ეგ არაფერი, ისევ დაგახატავ, – უთხრა მოხუცმა, ფანქარი მოიტანა და ციცქნას ცხვირ-პირი ხელახლა მიახატა. ტანზე ახალი შარვალ-ხალათი ჩააცვა და ნაბდის ახალი წითელი ქუდი დაახურა.

ციცქნამ სარკეში ჩაიხედა და ბებიას სთხოვა:

– მოდი, რაც არის, არის, ულვაშებიც მიმახატე.

– რას ამბობ, ბიჭო, – გაეცინა ბებიას, – რა დროს შენი ულვაშებია, საულვაშემდე გრძელი გზა უნდა გაიარო.

– ეგ რას ნიშნავს?

– ულვაშები რომ გქონდეს, ნასწავლიც უნდა იყო, შენ კი არაფერი გაგეგება.

ციცქნას მოაგონდა, უსწავლელს უცხო მხარეში როგორ გაუჭირდა ცხოვრება. იმ ოხერ ყურფამფალა მეფეს ქაღალდზე დაწერილი ანბანი რომ არ წაერთმია, ხომ ისწავლიდა წერა-კითხვას.

ბებიამ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, ვინ იყო ყურფამფალა მეფე და ციცქნამ თავისი თავგადასავალი უამბო. ისეთი საოცარი ამბები მოასმენინა, მოხუცი ხან შიშით ატირა, ხან სიხარულის ცრემლი აღვრევინა.

– აგრეა თუ იგრე, – თქვა ბოლოს ბებიამ, – უსწავლელობა და სიბრმავე ერთი და იგივეა, ნუცას სკოლაში უნდა მიგაბარო.

ციცქნამ არ იცოდა, ვინ იყო ნუცა.

– პატარა გოგოა, – უთხრა ბებიამ, – ნასწავლი და ზრდილი, ამ სოფლის თოჯინებს წერა-კითხვას ასწავლის.

ციცქნას ქოქია ისევ ხელში ეჭირა.

– ქოქიას რაღა ვუყო, სკოლაში ამასაც ხომ ვერ ვატარებ?

ბებიამ ცხვირზე სათვალე შეისწორა, შავი ხავერდის ძაღლი შეათვალიერა და გაიღიმა.

– ლამაზი ძაღლია, აი, იქ, კამოდის თავზე დადე, ოთახს დამიმშვენებს.

– რას ამბობ, ბებია, კამოდის თავზე რა უნდა, ნახე, რა ძაღლია! – ციცქნამ გასაღები გადაატრიალა, ძაღლს ზამბარა მოუმართა და ძირს დასვა.

ქოქიამ წყლიდან ამოსულივით ტანი ერთი-ორჯერ შეიბერტყა, კუდი გააქიცინა და მხიარულად აყეფდა:

– ჰამ, ჰამ, სადა ვარ?

– ბებიასთან! – მიუგო ციცქნამ.

– ეგლა მაკლია, ბებიასთან ვიყო!

მოხუცს მოლაპარაკე ძაღლი არ ენახა და იმდენი იცინა, სულ ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

– სად იშოვე, ბიჭო?

– უფლისწულმა დორემ მაჩუქა, ხედავ, როგორ დახტის და იყეფება? კამოდის თავზე რა გააჩერებს?!

– მართალი ხარ, სკოლაში რომ ივლი, შენი ძაღლი ჩემთან დარჩება, ეზოს მიმიხედავს! – თქვა ბებიამ.

– რაო? – აიმრიზა ქოქია, – ეგლა მაკლია, შინ დავრჩე, ძაღლმა თავის პატრონს უნდა უერთგულოს. სადაც ციცქნა იქნება, მეც იქ უნდა ვიყო. მორჩა და გათავდა!

– ყოჩაღ, მეგობრობაც ასეთი უნდა, – მოუწონა ბებიამ, – მაგრამ სკოლა სკოლაა!

– სკოლამდე მიმაცილებს, ბებია! – ქოქიას პასუხი არ აცალა ციცქნამ.

ხავერდის ძაღლი აყეფდა:

– სკოლამდე მიგაცილო?! ეგღა მაკლია! მეც მინდა სკოლა, არ იცით, ძაღლებსაც რომ ბევრ რამეს ასწავლიან? გადახტომას, გადმოხტომას, ორ ფეხზე სიარულს, ქურდბაცაცებისა და ჯაშუშების პოვნას. ცირკის ყველა ძაღლი ნასწავლია, ვერ წარმოიდგენთ, რაებს აკეთებენ იქ ძაღლები.

– ცირკში ყოფილხარ? – დაინტერესდა ბებია.

– რა მინდოდა ცირკში! ისე გამიგია, ძაღლები იქ რასაც აკეთებენ, თურმე... – ქოქია ჩაფიქრდა, რა მოვიგონო იმისთანა, ესენი რომ გავაკვირვოო, და მოიგონა: – თურმე ცირკის ძაღლები ნაკვერცხლებს ძვლებივით აკნატუნებენ და კუდზე ცეცხლმოკიდებულები დარბიან.

– უი, უი, რაებს ყბედობს, – მუხლებზე ხელები დაიტყაპუნა ბებიამ.

– ნუცას სკოლაში ანბანს ასწავლიან, – შენიშნა ციცქნამ.

– მეც ვისწავლი ჰამჰამს, – დაიყეფა ქოქიამ.

ბებიამ და ციცქნამ რაღა არ სცადეს, რომ როგორმე ქოქია დაეყოლიებინათ, უარი ეთქვა სკოლაზე, მაგრამ ვერ შეძლეს, ქოქია ქვის ნატეხად იქცა.

ნუცას სკოლა. თოჯინები შიშით კანკალებენ

მთელი სოფლის თოჯინები ნუცას სკოლაში დაიარებოდნენ. ნუცა დასხამდა ყველას, გადაშლიდა ანბანს და ეუბნებოდა:

– ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ, თქვენ გენაცვალეთ. – ჰოდა, სწავლობდნენ თოჯინები. დაეღოთ დიდი, ცისფერი შუშის თვალები და სულგატრუნულები უსმენდნენ ნუცა მასწავლებელს.

ერთ მშვენიერ დღეს ციცქნა და ქოქია ნუცას სკოლაში გამოცხადდნენ. გაუხარდა ნუცას ციცქნას დანახვა, რადგან მასზე ენით აუწერელი ამბები გაეგო, ქოქიას დანახვა კი არ ესიამოვნა – ძაღლების ძალიან ეშინოდა.

ქოქია ციცქნას გვერდით რომ დაჯდა, ნუცას შიშით თვალები გაუფართოვდა.

– ქოქია, არ ჯობია, გარეთ წამოწვეთ? – ფრთხილად უთხრა ნუცამ.

– ეგლა მაკლია! – დაიღრინა ქოქიამ.

– გთხოვთ!

– არ გამაგონო!

– სუფთა ჰაერს ჩაყლაპავთ.

– არ მინდა!

– გეხვეწებით!

ქოქიამ ბრაზიანად დაიღრინა:

– გიკბენ!

ნუცა შეშინდა, მართლა არ მიკბინოსო, და გაკვეთილი დაიწყო. დაფაზე რამდენიმე ასო დაწერა.

როგორც მწყურვალი წყაროს წყალს, ციცქნა ისე დაეწაფა სწავლას, სწრაფად იხსომებდა ასოებს და სხაპასხუპით იმეორებდა. გახარებულმა ნუცამ ხუთიანი* ჩაუწიკწიკა საკლასო ჟურნალში.

– მეც მინდა ხუთიანი – აწკმუტუნდა ქოქია.

– ჯერ გამოგცადოთ. თუ არაფერი იცით, ხუთიანი როგორ დაგიწეროთ? – გაიკვირვა ნუცამ და თითით დაფაზე ასო ანი უჩვენა.

– ქოქია, რა ასოა ეს?

ქოქიამ შუშის თვალები ფართოდ გააღო, დრუნჩზე ენა გადაისვა და შეჰყეფა:

– ჰამ!

---

* ხუთიანი (შეფასება ძველი სისტემით) – შეესაბამება ახლანდელ ათ ქულას.

– სამ ასოს ერთად ნუ ამბობთ! – შენიშნა ნუცამ, – მიპასუხეთ, რა ასოს გიჩვენებთ დაფაზე?

– ჰამ!

– ღმერთო, ისევ იმას გაიძახის, – აღშფოთდა ნუცა, – ქოქია, ასო ჰაე ჯერ არ გვისწავლია!

– ვითომ? – დაეჭვდა ქოქია.

– დედას გეფიცებით! თუ გინდათ, თოჯინებს ვკითხოთ. თოჯინებო, ასო ჰაე ხომ არ გვისწავლია?

– აარაა! – მოისმა ერთხმად, მაგრამ ამას ქოქიასთვის ნირი არ შეუცვლია.

– მერე რა, მე ხომ მისწავლია. სულ პირველად ყეფა ვისწავლე. აი, ასე: ჰამ, ჰამ, ჰამ და ეგღა მაკლია, არ ვიცოდე! – ქოქიამ რამდენჯერმე ხმამაღლა შეჰყეფა.

– კარგი, კარგი, შეწყვიტეთ ყეფა, – სთხოვა ნუცამ და დაფაზე ახლა ასო – განი დაწერა. – ქოქია, კარგად დაუკვირდით და მითხარით, რა ასო დავწერე დაფაზე?

ქოქიამ თვალები დაფას მიაპყრო, კუდი გააქიცინა და დაიღრინა – ღღღ...

მასწავლებელს ქაღალდის ფერი დაედო.

– ქოქია, ისე იღრინებით, თითქოს თქვენთვის ვინმეს რამე დაეშავებინოს. ასო ღ-ც არ შეგვისწავლია, თანაც, რომ იღრინებით, მოსწავლეები კანკალებენ, დედას გეფიცებით, ეშინიათ...

ციცქნამ თოჯინებს გადახედა, არც ერთს ადამიანის ფერი არ ედო, ვერხვის ფოთლებივით თრთოდნენ, ქოქიასკენ დამფრთხალი იხედებოდნენ.

– არც ასო ღ გვისწავლიაო. მაშ, რა ისწავლეთ? – გაბრაზდა ქოქია.

ქოქია რომ როგორმე დაეწყნარებინა, ნუცამ ჰკითხა, კიდევ რა ასოები იცითო.

ქოქია ერთ წამს ჩაფიქრდა, მერე თავი მაღლა ასწია, ცხვირით ჰაერი დაყნოსა და თვალდახუჭული აყმუვლდა.

– უუუუ!

ისე საზარლად აყმუვლდა, თოჯინებს კი არა, ციცქნასაც კანზე ეკალი დააყარა.

– გეყოფა, შეწყვიტე! – ატირდა ნუცა მასწავლებელი და ყურებში თითები დაიცო. მაგრამ ქოქიას არ გაუგია, ყმუოდა და ყმუოდა. როცა თვალები გაახილა, მის გვერდით მარტო ციცქნაღა იდგა. მასწავლებელი და მოსწავლეები სადღაც გამქრალიყვნენ. ქოქიას გაუკვირდა:

– სად არიან?

– შენმა ყმუილმა ყველა დააფრთხო, კინაღამ მეც გავიქეცი, – გამოტყდა ციცქნა.

– ძალიანაც კარგი, ეგღა მაკლია, არ დამფრთხალიყვნენ! – ქოქია მერხიდან მაგიდაზე გადახტა, პირით ფანქარი აიღო და ჟურნალში ხუთი ხაზი ჩამოუსვა.

– ეგ რა ქენი? – ჰკითხა ციცქნამ.

– ხუთიანი დავიწერე.

ციცქნა კარგა ხანს ელოდა ნუცა მასწავლებელს, მაგრამ აღარც ნუცა გამოჩენილა და აღარც მისი მოსწავლეები. მეტი რა ჩარა იყო, ციცქნამ შინისკენ გასწია და ქოქიაც აეტუნტულა.

ვინ აწაპნა კინკილას ცალი ფეხი? არც ცისნამასა და შარიქას დაჰყრიათ ხეირი

ციცქნას და ქოქიას გზაზე ფაიფურისთავიანი, მოკინკილე თოჯინა შემოხვდათ. ტანზე მწვანე კაბა ეცვა. წაბლისფერი თმა მხრებამდე ჩამოზრდოდა. მაყვალივით შავი თვალები და გრძელი, აპრეხილი წამწამები ჰქონდა. თითქოს არაფერია საოცარი, ვის არა აქვს მაყვალივით შავი

თვალები ან აპრეხილი, ლამაზი წამწამები. საკვირველი ის იყო, რომ ამ თოჯინას მარცხენა ფეხი იღლიაში შეშის ნაჭერივით ამოედო და მარჯვენა ფეხით ასკინკილას უვლიდა.

ასკინკილა ციცქნასაც უთამაშია და ქოქიასაც. მაგას რა უნდა, აიკაუჭე ერთი ფეხი და, სანამ შეგიძლია, იხტუნე.

ქოქიამ ველარ მოითმინა და თოჯინას შეუყეფა.

მოკინკილე თოჯინა შედგა. შავი ხავერდის ძაღლი რომ დაინახა, გაუღიმა და წამოიძახა:

– რა ლამაზი ძაღლია!

– ეგღა მაკლია, ლამაზი არ ვიყო! – აღრინდა ქოქია.

გოგონამ ქოქიასთან მიირბინა და მოსაფერებლად ხელი გაუწოდა.

– შეიძლება, მოგეფერო?

ქოქია აიმრიზა.

– რა გაეწყობა, – თოჯინამ ამოიოხრა, ხელი უკან დამალა და ციცქნა შეათვალიერა.

– თვალები და ცხვირ-პირი დახატული გაქვს?

– დიახ!

– ვინ დაგიხატა?

– ბებიამ!

– რა გქვია?

– ციცქნა!

– კარგი სახელია!

– შენ რაღას გეძახიან?

– კინკილას!

– მე ვიცი, რატომ გქვია კინკილა! – წამოიძახა ქოქიამ.

– რატომ?

– კინკილი გიყვარს და იმიტომ.

– მართალია, – გაიღიმა კინკილამ, – თუ არ მძინავს, სულ ასკინკილას ვთამაშობ, ძილშიც ასკინკილა მესიზმრება, ასე მგონია, ამაზე უკეთესი თამაში ბავშვებს ჯერ არ მოუგონიათ. ისე ხტუნვაც შემიძლია.

– რწყილივით? – გაოცდა ქოქია.

კინკილამ არ იცოდა, რწყილი რა იყო.

– აბეზარი მწერია, ძაღლებსა და კატებს ბალანში შეუძვრება ხოლმე, იკბინება და ნამეტანი ხტუნიაა. ისეთ სკუპს დაჰკრავს, თვალს ვერ შეასწრებ.

– სკუპი მეც ვიცი, მიყურეთ!

კინკილა ცალ ფეხზე ჩაიკუნტა, ჰოპო, დაიძახა, ზამბარასავით გაშლილი მაღლა ავარდა და შორს გადახტა, მერე იქიდანაც ისკუპა და ციცქნას წინ გაჩნდა.

ციცქნამ თვალით ანიშნა:

– მეორე ფეხი იღლიაში რაღად ამოგიდვია?

კინკილამ გადაიკისკისა.

– ვისაც კინკილი უყვარს, მეორე ფეხი სულაც არ სჭირდება. ზედმეტი ბარგია მარტო, იცით, რისთვის მადგება? როცა ვიძინებ, მუთაქასავით თავქვეშ ამოვიდებ ხოლმე, ან ხის მორივით მიწაზე ვდებ და ვჯდები! – კინკილამ ფეხი

ძირს დადო და ზედ დაჯდა, თან ციცქნაც მიიპატიჟა, მოდი, დაჯექიო.

– არ გეტკინება? – გაუკვირდა ციცქნას.

– სრულებითაც არა, შიგნიდან ნახერხით არის გამოტენილი.

– არა, ასე მგონია, გეტკინება, თანაც ფეხზე ჯდომა უხერხულია. – ციცქნა ცოტას ჩაფიქრდა და ისევ ჰკითხა: – მაშ, ეგ ფეხი არასოდეს გჭირდება?

– როგორ არა, – ისევ აკისკისდა კინკილა, – თუ არ ვკინკილობ, ან თოკზე არ ვხტუნაობ, ფეხს თავის ადგილას მივიდგამ და დავდივარ. ციცქნა, გინდა კლასობანა ვითამაშოთ?

– ვითამაშოთ!

გზაზე ჯოხით კლასი დახაზეს და ასკინკილა გააჩაღეს. ამ თამაშში ქოქიაც ჩაება, ცირკის ძაღლივით უკანა თათებზე შედგა და ისე დახტოდა. ერთხელაც, ნახაზს რომ უნდა გადახტომოდა, წაიქცა და კბილებდაკრეჭილი დარჩა.

– ვაი, მოკვდა! – შესძახა კინკილამ. რა იცოდა, რომ ქოქია მოსამართი ძაღლი იყო.

ციცქნამ მშვიდად გადაატრიალა გასაღები და ქოქია გამოცოცხლდა.

– დასაქოქი ყოფილა! – ტაში დაჰკრა კინკილამ.

– ეგღა მაკლია, ნამდვილი ძაღლი ვიყო! – შეუყეფა ქოქიამ.